

შპს „სანალია“-ს

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია					
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
		ერთეული: 1 GEL			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020	შენიშვნა	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	67837	64425	9073	3.1	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	79008	72702	12007	3.2	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	151864	3400	22989	3.3	
მარაგები	359686	360026	360111	3.4	
მზა პროდუქცია	0	0	0		
სხვა	359686	360026	360111		
საინვესტიციო ქონება	0	0	0		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	3711	14693		
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0		
თვითღირებულების მოდელით	0	0	0		
გადაფასების მოდელით	0	0	0		
გუდვილი	0	0	0		
სხვა არამატერიალური აქტივები	3799	1490	1660		
ძირითადი საშუალებები	2900302	3190665	3383960	3.5	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0		
სულ აქტივები	3562496	3696419	3804493		
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	0	0	0		
სავაჭრო ვალდებულებები	674	22793	2854		
ანარიცხები	0	0	0		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	361	16	12		
საგადასახადო ვალდებულებები	11838	0	0		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	154918	0	0		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1644692	2372012	2889811	3.6	
მიღებული გრანტები	0	0	0		
სხვა ვალდებულებები	0	0	0		
სულ ვალდებულებები	1812483	2394821	2892677		
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო	3395108	3395108	3395108	3.7	
საემისიო შემოსავალი	0	0	0		
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1645095	-2093510	-2483292		
გადაფასების რეზერვი	0	0	0		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0		
სულ საკუთარი კაპიტალი	1750013	1301598	911816		
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3562496	3696419	3804493		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.10.2023 წ.					
დირექტორი _____ სულიკო მახარაძე					
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.					

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია				
საქმიანობის შედეგები				
		ერთეული: 1 GEL		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა	
ნეტო ამონაგები	1157699	1043041	3.8	
საქონლის გაყიდვიდან	1157699	1043041		
მომსახურების გაწევიდან	0	0		
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0		
სხვა	0	0		
გაყიდვების თვითღირებულება	0	0		
საწყისი მარაგები	0	0		
მარაგების შესყიდვა	0	0		
გადამუშავების დანახარჯები	0	0		
საბოლოო მარაგები	0	0		
საერთო მოგება	1157699	1043041		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	125	2767		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-214968	-214312		
ცვეტა / ამორტიზაციის ხარჯი	-349845	-284092		
საპროცენტო შემოსავალი	0	0		
საპროცენტო ხარჯი	0	0		
იჯარის ხარჯი	0	0		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-144297	-151020	3.9	
სულ საოპერაციო ხარჯები	-708985	-646657		
საოპერაციო მოგება	448714	396384		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრები	-300	0		
მიღებული დივიდენდები	0	0		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	1	-6602		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	448415	389782		
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	448415	389782		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასები	0	0		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	448415	389782		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1301598	911816		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვე	0	0		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1750013	1301598		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.10.2023 წ.				
დირექტორი _____	სულიკო მახარაძე			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია		
ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	821606	657554
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	-90571	-92202
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	-727319	-510000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	3716	55352
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-304	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	64425	9073
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	67837	64425
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.10.2023 წ.		
დირექტორი _____	სულიკო მახარაძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სანალია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2000 წლის 7 მარტს შუახევის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 06/4-22. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 247860998, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N23, ხოლო ფაქტობრივი მისამართია - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. წინა საანგარიშგებო წლის დასასრულისთვის, 2021 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი). წინა საანგარიშგებო წლის დასრულების შემდეგ, 2022 წლის 21 იანვარს, საქართველოს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესის“ (ს/ნ 404886423) და შპს „სანალიას“ (ს/ნ 247860998) შერწყმა. აღნიშნული რეორგანიზაციის

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(შერწყმის) შედეგად შპს „სანალიამ“ (ს/ნ 247860998) შემოირჩა შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423).

შედეგად, საანგარიშგებო წელს, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ სულიკო მახარაძე (პ/ნ 61010000278).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურის მიერ და მისი რეალიზაცია.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები (სადაც მდებარეობს ჰიდროელექტროსადგური).

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 19 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც

მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები

უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით..

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.22 ლარი; 1 EUR=3.8124 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

კომპანიის ფულადი სახსრები მთლიანად შედგება კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხისაგან.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად შედგება საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის პარტნიორის - „ჯორჯიან მანგანუმის“ მიმართ არსებული მოთხოვნისაგან.

3.3. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	108029	2946	11954
შეცდომით გადარიცხული თანხები	0	0	700
ანგარიშსწორებანი საპენსიო სააგენტოსთან	0	119	0
წინასწარ ანაზღაურებული დაზღვევა	335	335	335
გაცემული გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები	43500	0	10000
სულ:	151864	3400	22989

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	0	0	0
საწვავ-საცხები მასალები	211	551	636
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ჯარი	359475	359475	359475
სულ:	359686	360026	360111

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	10940	0	0	10940	0		10940
ძირითად საშუალებებზე დასამატებელი მომსახურება	0	-82393	0	82393	81992		401
შენობები	422019	0	20406	442425	0	32649	475074
ნაგებობები	541410	128030	25675	439055	4025	41036	476066
მანქანა-დანადგარები	143544	0	28934	172478	0	36168	208646
თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები	1589915	0	222482	1812397	0	139063	1951461
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	123783	0	18282	142065	0	11394	153458
ელექტროგადამცემის საშუალებები	21752	1186	25037	45603	0	15709	61312
მილსადენები	24578	0	5102	29680	0	3189	32869
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები	0	0	0	0	0	301	301
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავიჯის გარდა	11800	6737	2042	7105	0	1601	8706
კომპიუტერული ტექნიკა	170	0	125	295	0	207	502
ინვენტარი	6035	4269	265	2031	2241	210	
მსუბუქი ავტომობილები	0	0	0	0	0		0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	4356	1411	1253	4198	2369	2395	4225
სულ:	2900302	59240	349603	3190665	90627	283922	3383960

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. მისი ზოგიერთი ძირითადი საშუალება უკვე ბევრი წელია მის მფლობელობაშია. ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 3676054 ლარს,

2021 წლის ბოლოს - 3326451 ლარს,

2020 წლის ბოლოს - 3042529 ლარს.

3.6. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	1644692	2372012	2889811
სულ:	1644692	2372012	2889811

კომპანიის სესხი ფაქტიურად შედგება მისი დამფუძნებელი პირისაგან მიღებული უსასყიდლო (უპროცენტო) სესხისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.7. საკუთარი კაპიტალი:

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. შესაბამისად მისი დაგროვილი ზარალი ფორმირებულია მისი დაფუძნების პერიოდიდან.

3.8. ნეტო ამონაგები:

კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგება წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებიდან.

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა			85
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა		753	31
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები		1522	
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	1651		1319
მარკეტინგული ხარჯები	45	96	504
ელექტროენერგიის მიწოდებისას	38589	37954	29258
მიწოდების სხვა ხარჯები	4058	3515	3213
ელექტროენერგიის ხარჯები	357	450	331
გაზი და წყალი	38	109	
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები		84	210
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები		60	
საკანცელარიო ხარჯები	354	149	305
კომპიუტერის ხარჯები	212	17	125
კომუნიკაციის ხარჯები	998	1774	2108
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის	15171	18459	18454
საწვავის ხარჯები (საერთო-	10225	9738	4194
გაზის ხარჯი (საერთო-ადმინისტრაციული)			
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	2819	12600	1000
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	22881	22881	14407
საფოსტო-საკურიერო მომსახურების ხარჯი	31	55	57
საგადასახადო ხარჯები	35144	35144	38664
საბანკო ხარჯები	1089	288	275
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	845	22	118
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	261		
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	553	939	1263
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო	3568	3358	4866
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	1765		473
სასტუმროს მომსახურება			225
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც	3643	1053	4080
სულ:	144297	151020	125565

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 2 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 2 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	67837	64425	9073	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	79008	72702	12007	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	151864	3400	22989	3.3
მარაგები	359686	360026	360111	3.4
მზა პროდუქცია	0	0	0	
სხვა	359686	360026	360111	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	3711	14693	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	3799	1490	1660	
სხვა არამატერიალური აქტივები	2900302	3190665	3383960	3.5
ძირითადი საშუალებები	0	0	0	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	3562496	3696419	3804493	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	674	22793	2854	
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	361	16	12	
საგადასახადო ვალდებულებები	11838	0	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	154918	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1644692	2372012	2889811	3.6
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	0	
სულ ვალდებულებები	1812483	2394821	2892677	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3395108	3395108	3395108	3.7
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1645095	-2093510	-2483292	
გადაფასების რეზერვი	0	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	1750013	1301598	911816	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3562496	3696419	3804493	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.10.2023 წ.

დირექტორი

სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1157699	1043041
საქონლის გაყიდვიდან	1157699	1043041
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადაშვების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1157699	1043041
სხვა საოპერაციო შემოსავალი	125	2767
დასაქმებულთა ანაზღაურება	-214968	-214312
ცვუთა / ამორტიზაციის ხარჯი	-349845	-284092
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-144297	-151020
სულ საოპერაციო ხარჯები	-708985	-646657
საოპერაციო მოგება	448714	396384
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფას	-300	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	1	-6602
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	448415	389782
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	448415	389782
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	448415	389782
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1301598	911816
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაი	0	0
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1750013	1301598

შენიშვნა
3.8

3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.10.2023 წ.

დირექტორი

სულიკო მახარაძე



თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	821606	657554
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-90571	-92202
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-727319	-510000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	3716	55352
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-304	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	64425	9073
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	67837	64425

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.10.2023 წ.

დირექტორი



[Handwritten signature]

სულიკო მახარაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.